

**პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი**

დოკუმენტის თავდაპირველი რედაქცია:

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი
	რექტორი	ბრძანება N101	22.03.2018

განხორციელებული ცვლილებები

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი	მუხლი	შინაარსი
	რექტორი	ბრძანება N161	07.05.2018	2; 3; 4	შეიცვალა
	რექტორი	ბრძანება N349	19.10.2018	2; 3.1; 3.2; 3.6; 4.1;	შეიცვალა
	რექტორი	ბრძანება N349	19.10.2018	3.7; 6.2; 6.3; 7; 8.	დაემატა

1. ზოგადი ინფორმაცია ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ

შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ (თსა) ბიბლიოთეკა წარმოადგენს საინფორმაციო, სამეცნიერო და კულტურულ სტრუქტურულ ერთეულს, რომლით სარგებლობის საშუალებაც აქვთ თსა-ს სტუდენტებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციულ პერსონალს.

ბიბლიოთეკის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკარი.

ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი:

ორშაბათი	9.00 - 21.00
სამშაბათი	9.00 - 21.00
ოთხშაბათი	9.00 - 21.00
ხუთშაბათი	9.00 - 21.00
პარასკევი	9.00 - 21.00
შაბათი	10.00 - 18.00
კვირა	დასვენება

2. ბიბლიოთეკაში გაწევრიანება

თსა-ს ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა. ბიბლიოთეკაში, მომხმარებლის / სტუდენტის გაწევრიანებისას, ინტეგრირებული საბიბლიოთეკო მართვის ელექტრონული სისტემის - KOHA - მკითხველთა მოდულის შევსება ხდება საკონტაქტო მონაცემების მიხედვით - სახელი/გვარი, ეროვნება, ქალაქი, მისამართი/ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, სწავლების წელი.

უფასოა აგრეთვე, ბიბლიოთეკის, როგორც წიგნადი ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, პერიოდული გამოცემებით სარგებლობა და ინტერნეტმომსახურება;

3. წიგნის გაცემა

3.1 სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკიდან არ გაცივმა. ბიბლიოთეკაში არსებული ძირითადი სახელმძღვანელოების ეგზემპლიარებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, მომხმარებელს / სტუდენტს უფლება აქვს ცალკეული გვერდების ქსერო-ასლის გადაღების ან წიგნის ლექციაზე გატანის. ლექციის დასრულებისთანავე სტუდენტი ვალდებულია სახელმძღვანელო ბიბლიოთეკაში დააბრუნოს;

3.2 ბიბლიოთეკიდან არასახელმძღვანელო წიგნის გატანა ხდება ერთი კვირის ვადით, საჭიროების შემთხვევაში ვადის გაგრძელება შესაძლებელია დამატებით - ორი კვირით. გადავადების შემთხვევაში მომხმარებელი/სტუდენტი ვალდებულია მიაკითხოს ბიბლიოთეკარს;

- 3.3 მკითხველი ვალდებულია დადგენილ დროში დააბრუნოს მასზე გაცემული ლიტერატურა. წინააღმდეგ შემთხვევაში აკადემია იტოვებს უფლებას დააკისროს მას ჯარიმა, ყოველ გადაცილებულ დღეზე ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ტარიფის მიხედვით;
- 3.4 ბიბლიოთეკარს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს გატანილი წიგნის ვადაზე ადრე დაბრუნება;
- 3.5 ბიბლიოთეკარს უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევებში შეცვალოს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესები - არ გაატანოს წიგნი იმ მკითხველს, რომელიც ადრე შემჩნეული იყო წიგნის დაგვიანებით დაბრუნებაში, დაკარგვაში ან მის დაზიანებაში;
- 3.6 მომხმარებელს/სტუდენტს შეუძლია დაჯავშნოს წიგნი ბიბლიოთეკაში მიუსვლელად, ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა KOHA ელექტრონული კატალოგის OPAC-ის დაჯავშნის ფუნქციის მეშვეობით;
- 3.7 ბიბლიოთეკის გარეთ ლიტერატურა არ გაიცემა ვიზიტორზე.

4. ჯარიმა

- 4.1 წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მომხმარებელი/სტუდენტი ვალდებულია ჩაანაცვლოს იგი იმავე ავტორის და დასახელების წიგნით ან გადაიხადოს ჯარიმა წიგნის საბაზრო ფასის ოდენობით. აღდგენილი წიგნი ახალი გამოცემის უნდა იყოს ან უნდა შეესაბამებოდეს დაკარგული წიგნის გამოცემას;
- 4.2 დაზიანებული წიგნის დაბრუნების შემთხვევაში (დაზიანებული ყდა, ამოხეული გვერდები, დახაზული, აღნიშვნებით და სხვა) მკითხველი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა წიგნის საბაზრო ღირებულების ოდენობით.

5. საერთაშორისო ელექტრონული რესურსების გამოყენება

თსა-ს საერთაშორისო ელექტრონული რესურსები განთავსებულია ვებ-გვერდზე www.tma.edu.ge და სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში „ბიბლიოთეკის“ მოდულში. რესურსების გამოყენება შესაძლებელია თსა-ს IP-ზე მიბმული ნებისმიერი კომპიუტერიდან. რესურსების გამოყენების წესის გასაცნობად ბიბლიოთეკაში ტარდება პერიოდული ტრენინგები, რომელთა განრიგი განისაზღვრება ყოველი სემესტრის დასაწყისში და ეგზავნება პედაგოგებს.

6. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

- 6.1 ბიბლიოთეკაში მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს “აკადემიური ქმედებების და პროფესიული ქცევის კოდექსს” და დაიცვას ქვემოთ ჩამოთვლილი ქცევის წესები.

ბიბლიოთეკაში აკრძალულია:

- ხმაური და საუბარი;
- მობილურზე საუბარი;
- მოწევა;

- საკვები პროდუქტების და სასმელის შეტანა;
- ცხოველების შეყვანა;
- ბიბლიოთეკის პერსონალის სივრცეში შესვლა;
- ბიბლიოთეკის ინვენტარის დაზიანება და სხვა ქცევა, რომელიც არღვევს მშვიდ გარემოს.

6.2 მომხმარებელს/სტუდენტს ეკრძალება ბიბლიოთეკიდან წიგნის თვითნებურად - ლექციაზე ან ქსერო-ასლის გადასაღებად გატანა ბიბლიოთეკარის მიერ კატალოგში სპეციალური ჩანაწერის გაკეთების გარეშე;

6.3 დაუშვებელია ბიბლიოთეკიდან გატანილი მასალის დაბრუნებისას ან სამკითხველო დარბაზში წიგნით სარგებლობის დასრულების შემდეგ მათი განთავსება პირდაპირ თაროზე, მომხმარებელი/სტუდენტი ვალდებულია წიგნი ჩააბაროს ბიბლიოთეკარს. გამოყენებული მასალა ბიბლიოთეკარის მიერ იქნება თაროებზე განთავსებული;

7. ბიბლიოთეკაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება

თსა-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით და სკანერით, რომელთა გამოყენებაც შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს და პედაგოგს.

მომხმარებელს / სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკაში განთავსებული, ინტერნეტში ჩართული 10 კომპიუტერით, უკაბელო ინტერნეტით, სკანერით და პრინტერით - დასაშვებია 10 გვერდის ამობეჭვდა;

8. ბიბლიოთეკის განვითარების მექანიზმები

ბიბლიოთეკაში არსებობს სპეციალური ფორმა, რომელშიც მომხმარებელი/სტუდენტი აფიქსირებს საკუთარ რეკომენდაციებს ბიბლიოთეკაში სხვადასხვა საინფორმაციო რესურსების არსებობის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

შემოთავაზებული რეკომენდაციები განიხილება და საინფორმაციო რესურსების შეძენის თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღება საბიბლიოთეკო კომიტეტის მიერ.

9. კონსულტაციები და ტრენინგები

ბიბლიოთეკაში მოქმედებს კონსულტაციებისა და ტრენინგების სისტემა. შეხვედრის დანიშვნისთვის დაინტერესებულმა პირმა უნდა მისწეროს ბიბლიოთეკარს შემდეგ მისამართზე: library@tma.edu.ge